

<p>Introduzione Luigi Di Maio Ministro degli Affari Esteri e della Cooperazione Internazionale</p>	<p>წინასიტყვაობა ლუიჯი დი მაიო საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრი</p>
<p>Quando si parla di Italia all'estero, non si può non pensare al nostro patrimonio storico e culturale che ogni anno porta milioni di turisti a visitare il nostro Paese. Quando si pensa alle città e ai mille borghi d'Italia, che attirano i viaggiatori da tutto il mondo, l'immagine che immediatamente ci viene alla mente è quella della piazza, che è insieme la cornice e la tela su cui si disegnano palazzi, chiese, monumenti e la vita che si svolge intorno ad essi. La piazza diventa sinonimo di patrimonio culturale, ma anche di luogo dell'incontro e della socialità, dello scambio commerciale e della dialettica delle idee. Come scrisse Italo Calvino ne "Le città invisibili"- titolo a cui ci siamo ispirati- "ogni volta che si entra nella piazza ci si trova in mezzo ad un dialogo".</p> <p>In questi ultimi mesi, in cui le città si sono fermate per contenere l'epidemia che ha investito il mondo, in cui gli incontri tra le persone sono diventati "assembramenti" da evitare - una situazione alla quale, voglio sottolinearlo, il popolo italiano ha risposto con encomiabile senso di responsabilità - la piazza ha perso momentaneamente la sua funzione sociale ed ha acquistato quella, inedita, di spazio fisico aperto, riscoprendo linee architettoniche prima nascoste e prospettive di luce nuove. Come in un quadro di De Chirico, l'architettura è emersa in primo piano e le piazze si sono rivelate nelle loro linee essenziali, come i loro artefici le avevano immaginate. Di ciò danno testimonianza le immagini di questo volume, curato da Marco Delogu e realizzato con le fotografie d'autore di 20 piazze italiane, ritratte nel periodo tra la fine di marzo e l'inizio di maggio, in cui l'Italia, come buona parte del resto del mondo, ha vissuto la difficile fase del confinamento. Alle fotografie sono stati affiancati brevi testi originali di scrittori italiani, legati a quei luoghi e a quelle piazze da ricordi, esperienze e suggestioni letterarie.</p> <p>Nella ricorrenza del 2 giugno, ci è sembrato giusto fare dono di questa opera a tutti coloro che, all'estero, si uniscono quest'anno idealmente per celebrare la Festa della Repubblica, in attesa di poter tornare a farlo fisicamente. E un ulteriore modo per sottolineare il ruolo che il mondo della cultura e della creatività italiane può e deve svolgere per accompagnare la riapertura e il rilancio del nostro Sistema Paese all'estero, che il Ministero degli Esteri continuerà a sostenere. Siamo coscienti di essere di fronte a grandi sfide, ma consapevoli al tempo stesso di avere la capacità di affrontarle. E dallo sguardo rivolto verso il futuro traiamo la spinta per vincerle.</p>	<p>როცა უცხოეთში იტალიაზე საუბრობენ, შეუძლებელია ჩვენს ისტორიულ თუ კულტურულ მემკვიდრეობაზე არ დაფიქრდე, რომლის გამოც ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი ჩამოდის ჩვენი ქვეყნის დასათვალიერებლად. როდესაც იტალიის ქალაქებსა და ათასობით დაბას ვიგონებთ, რაც ასე ძლიერ იზიდავს მოგზაურებს მთელი მსოფლიოდან, ჩვენს გონებაში მაშინათვე მოედნის გამოსახულება ჩნდება, ეს სწორედ ის ჩარჩო და ტილოა, რომელზეც ნაგებობები, ეკლესიები, მონუმენტები და მათ გარშემო არსებული ცხოვრება იხატება. მოედანი კულტურული მემკვიდრეობის სინონიმად, თავშეყრის, ვაჭრობისა და იდეების გაცვლის ადგილად იქცევა. როგორც იტალი კალვინო წერდა თავის ნაწარმოებში „უხილავი ქალაქები“ (ამ ნაწარმოების სათაური იქცა ჩვენი შთაგონების წყაროდ) „ყოველთვის როცა მოედანზე ვხვდებით, დიალოგის შუაგულში აღმოვჩნდებით ხოლმე“.</p> <p>ბოლო თვეებში, როცა ქალაქები მსოფლიოში მძვინვარე ეპიდემიის შესაკავებლად „გაჩერდნენ“, როცა ადამიანებს შორის ჩვეულებრივმა შეხვედრებმა „მასობრივი თავშეყრის“ დატვირთვა შეიძინა და მათი აკრძალვა გახდა საჭირო (მსურს ხაზი გავუსვა, რომ ამ ვითარებას იტალიელი ხალხი სანაქებო პაუსიხმგებლობის გრძნობით მოეკიდა), მოედანმა უეცრად დაკარგა თავისი სოციალური ფუნქცია და აქამდე უცნობი, ღია სივრცის მნიშვნელობა შეიძინა. ამრიგად თავიდან აღმოვაჩინეთ მასში ფარული არქიტექტურული კონტურები და ახალი შუქის პერსპექტივა. როგორც დე კირიკოს ერთ-ერთ ნახატზე, არქიტექტურა წინა პლანზე წამოიწია და მოედნები თავიანთ არსებით კონტურებში გამოიკვეთა, ისე როგორც მათ შემქმნელებს წარმოედგინათ. ამის თვალსაჩინო დასტურია, მარკო დელოგუს მიერ რედაქტირებული და საავტორო ფოტოებით გაფორმებული ეს ნამუშევარი, სადაც ასახულია იტალიის ოცი მოედანი მარტის ბოლოს და მაისის თვის დასაწყისში. ამ პერიოდში იტალია, ისევე როგორც მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი, იზოლირებული აღმოჩნდა. ფოტოების გასწვრივ მოყვანილია იტალიელი მწერლების ტექსტები, რომლებიც ამა თუ იმ ადგილებთან და მოედნებთან ლიტერატურულ მოგონებებსა და შთაგონებას უკავშირდება.</p>

	<p>მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ ეს ნამუშევარი მიგვეძღვნა ყველა ადამიანისათვის, ვინც უცხოეთში, წარმოსახვით შემოუერთდება 2 ივნისს იტალიის ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნას, იმ იმედით რომ მალე ფიზიკურადაც შესძლებენ ამას. ეს დამატებითი შესაძლებლობაა იმის ხაზგასასმელად, რომ იტალიურ კულტურასა და შემოქმედებით უნარს შესწევს იმის ძალა, რომ ჩვენი ქვეყანა თავიდან აღორძინდეს და ამას აქტიურად უჭერს მხარს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ვაცნობიერებთ დიდ გამოწვევებს და მათი დაძლევის უნარიც შეგვწევს. მომავლისკენ მიჰყვებით მზერა გვიბიძგებს გამარჯვებისკენ.</p>
<p>Introduzione Marco Delogu</p>	<p>შესავალი მარკო დელოგუ</p>

Lo stato di eccezionalità inaugurato nella primavera del 2020 ha prodotto una serie di sconvolgimenti in praticamente tutti gli aspetti della vita quotidiana. All'improvviso ci siamo trovati avvolti da un senso di attesa e di sospensione, che ha coinvolto i luoghi stessi che prima vivevamo e riempiamo. "L'Italia è il Paese delle cento piazze" ricorda Joseph Rykwert nel suo contributo a questo volume. Queste piazze, simbolo di una bellezza diffusa italiana, ora ritornano ad essere, forse per la prima volta nella vita di ognuno di noi, dei luoghi immaginari "visti" così soltanto dai grandissimi artisti e le menti che le hanno pensate, progettate, realizzate ed ornate. [...]

Ho deciso quindi di unire fotografi e scrittori in questo progetto, ognuno con la forza espressiva del proprio mezzo, per raccontare su binari paralleli una piazza che per loro rappresentasse una piccola *motherland*. Durante la mia esperienza all'Istituto Italiano di Cultura di Londra ho fortemente voluto dirigere un ambiente in cui la contaminazione tra le diverse arti fosse la spina dorsale delle attività e degli eventi che hanno animato l'Istituto e che sono poi confluiti nei quattro volumi di *Conversazioni a Belgrave Square*. Per questo progetto ho voluto continuare su questo solco e la formazione stessa delle "coppie" è stato un aspetto molto interessante della preparazione. Alcuni si conoscevano da tempo, altri no, ma sempre esisteva per motivi anagrafici, di scelte di vita o di storie famigliari, un fortissimo legame con il territorio. Molti autori hanno trascorso il lockdown a pochi metri dalla piazza scelta, altri invece vi hanno abitato per lunghi anni.

La sfida è stata complessa, bisognava agire subito, trovare idee, punti di vista, mischiare il personale con la storia, valorizzare l'autorialità di tutti, tenendo conto di alcune linee guida. Per molti scrittori non era semplice trovare la concentrazione necessaria; per i fotografi era invece difficile uscire di casa (e lo hanno fatto richiedendo i permessi alle autorità competenti). Si è proceduto anche cogliendo le opportunità così come queste si presentavano: alle volte veniva scritto prima il testo, altre veniva prima la fotografia. In alcuni casi un autore si ispirava al "compagno di piazza", in altri testo e immagine sono stati scritti in maniera totalmente indipendente, eppure il risultato è sorprendentemente coincidente. La relazione tra fotografia e letteratura è lunga e piena di ottimi risultati e questo progetto, pur rispettando l'autonomia dei due linguaggi, lavorando sulla sottile frontiera dove gli sconfinamenti sono aperti e rafforzano il rapporto tra visioni diverse, ne è un esempio. Il forte scambio tra testo e immagine è un gioco di specchi, di sguardi reciproci, si può cercare l'immagine nel testo e viceversa. Così si è costruito un terreno comune di rimandi che si è autoalimentato attraverso il lavoro di autori con identità, età e stili diversi. [...]

2020 წელს დამდგარმა განსხვავებულმა გაზაფხულმა ყოველდღიური ცხოვრება თავდაყირა დააყენა. მოულოდნელად ყველა ჩვენთაგანი და ის ადგილებიც, სადაც ადრე გვიცხოვრია და თავს ვიყრიდით, მოლოდინისა და „დაპაუზების“ რეჟიმზე გადაერთო. ჯოზეფ რიკვერტი ამ ნაშრომზე მუშაობისას იხსენებს, რომ „იტალია ასი მოედნის ქვეყანაა“. ახლა, ეს გავრცელებული იტალიური სილამაზის სიმბოლოდ ქცეული მოედნები, ალბათ პირველად თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში, მხოლოდ დიდი ხელოვანების თვალით დანახულ, წარმოდგენილ, ჩაფიქრებულ, დაპროექტებულ, შემკულ და ხორცშესხმულ ადგილებად გადაიქცა [...]

ამრიგად, გადავწყვიტე ამ პროექტში ფოტოგრაფებისა და მწერლებისათვის (საკუთარი გამოხატვის საშუალებებით) თავი მომეყარა, რათა მომეთხრო მოედანზე, რომელიც მათთვის პატარა სამშობლოდ ქცეულიყო. ლონდონში იტალიური კულტურის ინსტიტუტში მუშაობისას, ჩემი დიდი სურვილი იყო მეხელმძღვანელა ისეთი დაწესებულებისათვის, სადაც ხელოვნების სხვადასხვა დარგების ერთმანეთზე ზეგავლენა ინსტიტუტის საქმიანობისა და მისი ღონისძიებების ქვაკუთხედი გახდებოდა და რომელმაც შემდეგ ოთხ ტომეულში „საუბრები ბელგრევის მოედანზე“ მოიყარა თავი. ამ პროექტშიც მსურდა იმავე კვალს გავყოლოდი და თავად ამ „დაწვევების“ (ფოტოგრაფია და ლიტერატურა) პროცესიც უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა. ზოგი დიდი ხნის ნაცნობი იყო, ზოგი არა, მაგრამ ოჯახური ისტორიების, ცხოვრებისეული არჩევანისა თუ საცხოვრებლის მიხედვით რეგისტრაციის გამო, ყოველთვის არსებობდა ტერიტორიასთან მჭიდრო კავშირი. ბევრ ავტორს „ლოქდაუნის“ პერიოდის გატარება არჩეული მოედნის სიახლოვეში მოუწია, ზოგი კი იქ მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა.

გამოწვევა რთული აღმოჩნდა, ის ითხოვდა სრულყოფილ მოქმედებას, შეხედულებებისა და იდეების მიგნებას, საკუთარი პიროვნულის ისტორიასთან შერწყმას, ყველას საავტორო უფლების ხაზგასმას და ძირითადი წესების დაცვას. ზოგი მწერლისთვის მარტივი არ აღმოჩნდა სათანადო კონცენტრაციის პოვნა, ფოტოგრაფებისათვის კი სახლიდან გასვლა ჭირდა (ამისათვის კომპეტენტური უწყებების ნებართვა სჭირდებოდათ). სამუშაო პროცესში ვიყენებდით ხელსაყრელ შემთხვევებს: თავდაპირველად ზოგჯერ ტექსტი იწერებოდა, ზოგჯერ კი ფოტოს გადაღება ხდებოდა. რიგ შემთხვევებში ავტორისათვის „მოედნის მეგობარი“ მისაბაძი მაგალითი იყო, ზოგჯერ კი ტექსტი და გამოსახულება ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად იქმნებოდა, თუმცა საოცრად ემთხვეოდნენ ერთმანეთს.

	<p>ლიტერატურისა და ფოტოგრაფიის ურთიერთკავშირს საკმაოდ წარმატებული, დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს პროექტიც ამის ნათელ დასტურს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ხელოვნების განსხვავებულ გამოხატვის უნარს იცავს და ზღვარი იქ გადის, სადაც საზღვრების გარღვევა ასე მარტივია და განსხვავებულ ხედვებს შორის კავშირი კი ძლიერი. ტექსტი და გამოსახულება ერთმანეთისადმი მიპყრობილი მზერაა, ტექსტში გამოსახულების დანახვა შესაძლებელი და პირიქით, გამოსახულებაში შეგიძლია ტექსტი ამოიკითხო. ამრიგად ამ ურთიერთკავშირმა მყარი ნიადაგი შექმნა, რომელიც სხვადასხვა ასაკის, იდენტობისა და ხელოვნების სტილის მქონე ავტორთა შრომით საზრდოობდა [...]</p>
<p>Piazza del Popolo, Roma Edoardo Albinati 04 / 05 / 2020</p>	<p>„პიაცა დელ პოპოლო“, რომი ედოარდო ალბინატი 04/05/2020</p>

<p>Per chi abita a Roma esattamente come per gli stranieri, quella che offre Piazza del Popolo resta sempre e comunque una visione. Un effetto ottico paragonabile ai fenomeni descritti da Henry Michaux sotto mescalina in Miserabile miracolo. Sarà forse la sua forma ellittica a provocare le vertigini. Sarà per l'ammirazione che sconfinava rapidamente in un senso di ir-realtà. [...] Anche nella fotografia di Olivo Barbieri, la piazza non nasconde, anzi esibisce, la sua esattezza illusionistica. L'ellissi vuota, gli spalti, l'obelisco con la sua ombra puntata verso nord, l'onirico tridente, i pigri leoni di pietra che "invece di ruggire / spruzzano rinfrescanti / ventagli d'acqua" (Valentino Zeichen): la scena è allestita, bisogna popolarla in fretta prima che la smontino.</p>	<p>რომის მკვიდრთათვის, ისევე როგორც უცხოელებისათვის, ის რასაც „პიაცა დელ პოპოლოს“ მოედანი სთავაზობს მუდამ წარმოსახვად დარჩება. ოპტიკური ეფექტი, რომელსაც ჰენრი მიშოს ნაწარმოებში „ულმერთო სასწაული“ აღწერილ ფენომენს თუ შევადარებთ. შესაძლოა მისი ოვალური ფორმა იწვევდეს თავბრუსხვევის შეგრძნებას, ან აღტაცება მიგვაქანებს არარეალურობისაკენ. ოლივო ბარბიერის ფოტოზეც მოედანი ილუზიური სისწორით წარმოჩდება და არ იმალება. ცარიელი ელიფსი, ბურჯი, ობელისკი ჩრდილოეთისკენ მიპყრობილი ჩრდილით, ზღაპრული სამკაპი, ზარმაცი ქვის ლომები, რომლებიც „ღრიალის ნაცვლად/გამაგრებელი წყლის შხეფებს აფრქვევენ“ (ვალენტინო ძეიკენი): -სცენა მოწყობილია, სანამ სცენას დაშლიან ხალხით უნდა შეივსოს-.</p>
<p>Piazza San Marco, Venezia Francesco M. Cataluccio 27 / 04 / 2020</p>	<p>სან მარკოს მოედანი, ვენეცია ფრანჩესკო მ. კატალუჩო 27/04/2020</p>
<p>Mi sono sempre chiesto quale fosse il lato migliore per entrare in Piazza San Marco e ammirare la sua Basilica che, come gran parte di Venezia, ha una natura arlecchinesca. Infatti è stata costruita con le razzie dei palazzi dell'Oriente. Ogni nave che tornava portava (anzi: doveva per obbligo trasportare) statue, colonne, pavimenti che servivano ad abbellire la città. La Basilica di San Marco è l'esempio più vistoso di un patchwork di furti, un collage di stili e materiali, estratti dal loro contesto e funzioni originali, che la rendono unica e inimitabile. Questo incastro, arricchito dai mosaici dorati gode davanti a sé di un vasto spazio e di una magica prospettiva. [...]</p>	<p>არაერთხელ მიკითხვას საკუთარი თავისთვის, რომელია სან მარკოს მოედანზე შესასვლელი და მისი ბაზილიკით ტკობის ყველაზე საუკეთესო მხარე, რომელსაც ვენეციის დიდი ნაწილის დარად არლეკინოს ელფერი დაჰკრავს. ეს ბაზილიკა ხომ აღმოსავლეთ ქვეყნების შენობების ნამარცვისგან ააგეს. თითოეულ უკან დაბრუნებულ ხომალდს იატაკები, სვეტები, ქანდაკებები მოჰქონდა (ვალდებული იყო გადაეტანა), რომლითაც ქალაქს ამშვენებდნენ. სან მარკოს ბაზილიკა ნამარცვის, თავდაპირველი დანიშნულებიდან, კონტექსტიდან ამოვარდნილი სტილისა და მასალის კოლაჟია, რომელიც მას შეუდარებელს ხდის. ეს მოოქროვილი მოზაიკით გამდიდრებული ნარევი, უშველებელ სივრცეს და მაგიურ პერსპექტივას აერთიანებს. [...]</p>
<p>Piazza Navona, Roma Valerio Magrelli 15 / 04 / 2020</p>	<p>ნავონას მოედანი, რომი ვალერიო მაგრელი 15/04/2020</p>

<p>Ma è possibile che nessuno l'abbia notato? Possibile che nessuno l'abbia mai scritto? Sembrerà incredibile, eppure non l'ho mai letto da nessuna parte. Allora voglio dirlo chiaramente: la Torre Eiffel è l'esatta copia della Fontana dei Fiumi di Gian Lorenzo Bernini. [...]</p> <p>Del resto, lo scultore, pittore e architetto italiano del '600 non passò forse qualche mese Oltralpe, chiamato dallo stesso Re Sole? Basterebbe un'immagine del genere (Bernini che disegna il Louvre), per spiegare l'importanza che questa piazza ha per me, nato a Roma, ma studente prima, poi insegnante di letteratura francese da oltre quarant'anni. [...]</p>	<p>ნუთუ არავის შეუმჩნევია? ნუთუ მასზე არავის დაუწერია? დაუჯერებელია, მაგრამ მასზე არსად არაფერი წამიკითხავს. მამ მსურს გასაგებად ვთქვა: ეიფელის კოშკი ჯან ლორენცო ბერნინის „ფონტანა დეი ფიუმი“-ს ზუსტი ასლია. [...]</p> <p>განა XVII საუკუნის იტალიელმა მოქანდაკემ, ფერმწერმა და არქიტექტორმა, თავად ლუი დიდის მიწვევით არ დაჰყო რამოდენიმე თვე ალპეს მიღმა?! ჩემთვის, რომში დაბადებული ადამიანისათვის, ჯერ სტუდენტის, შემდეგ 40 წლის მანძილზე ფრანგული ლიტერატურის პედაგოგისთვის, საკმარისია მსგავსი რამ წარმოვიდგინო (ბერნინი, რომელიც ლუვრს ხატავს), რათა გამოვხატო ჩემთვის ამ მოედნის მნიშვნელობა. [...]</p>
<p>Piazza Santa Croce, Firenze Giorgio van Straten 29 / 04 / 2020</p>	<p>„სანტა კროჩეს“ მოედანი, ფლორენცია ჯორჯო ვან სტრატენი 29/04/2020</p>
<p>Una piazza vuota per qualche minuto è bellissima, poi diventa intollerabile, perché una piazza vuota è un fatto innaturale. [...] No, una piazza non è un simulacro, quando è vuota la sua bellezza diviene offesa: tanto è stato giusto liberare molte piazze dalle auto, tanto ingiusto è liberarle dagli uomini. [...] Da noi l'abbandono, per fortuna, non si misurerà in secoli, riguarda solo i giorni, al massimo le settimane: poi quelle piccole figurine che, se vi sforzate, potete distinguere qua e là ai lati della piazza, si moltiplicheranno, tornando, finalmente, a riempirla.</p>	<p>ულამაზესი სანახავია დაცარიელებული მოედანი, მაგრამ მხოლოდ რამოდენიმე წუთით, შემდეგ იგი აუტანელი ხდება, რადგან უჩვეულოდ გამოიყურება. [...] არა, მოედანი მოჩვენება არ გახლავთ, როცა ცარიელდება მისი მშვენიერება იჩრდილება. რამდენადაც მართებული იყო მოედნების ავტომობილებისგან გათავისუფლება, იმდენად უსამართლოა მისი ადამიანებისგან დაცლა. [...] საბედნიეროდ ჩვენთან ეს “მიტოვება” საუკუნეებს არ გასტანს, მხოლოდ დღეებსა თუ კვირებს, და შემდეგ, თუკი თავს ძალას დაატანთ აქა-იქ თვალს მოჰკრავთ მოედანზე ადამიანებს (მომცრო ზომის ფიგურებს), რომლებიც ნელ-ნელა მრავლდებიან და ბოლოს მოედანს ავსებენ.</p>
<p>Piazza di S. Maria in Trastevere, Roma Jhumpa Lahiri 29 / 04 / 2020</p>	<p>„პიატა დი ს. მარია ინ ტრასტევერე“, რომი ჯუმპა ლაჰირი 29/04/2020</p>

<p>In questa piazza io sono quasi sempre in movimento, ma posso anche immaginarmi ferma, precisamente nella posizione del fotografo. [...] In un palazzo sopra la farmacia, incorniciata in una delle finestre, ci sarà una signora anziana – quasi alla stessa altezza dei quattro pontefici sulla balaustra – che normalmente sorveglia la moltitudine sotto casa sua, come fosse una statua anche lei. [...]. Cosa pensa, quella signora, ora che non c'è nulla da vedere a parte i militari, i pontefici, le donne sbiadite che fiancheggiano Maria nel mosaico sulla facciata della basilica, le teste di lupo dalle cui fauci non cade più l'acqua? Cosa pensa dell'erbaccia – non riesco a capire dalla foto se sia erba o una specie di muschio – che cresce e si sparge fra i sampietrini? Le fa pensare, la presenza insolita di quell'erbaccia, all'assenza di tutto?</p>	<p>ამ მოედანზე ყოველთვის ვმოდრაობ, მაგრამ შემძლია წარმოსახვით გავჩერდე, ფოტოგრაფივით.[...] აფთიაქის მალა შენობაში, ოთხი პონტიფიკოსის ქანდაკების სიმალეზე, ჩარჩოში ჩასმული ფანჯრიდან ხანდაზმული ქალბატონი ჩვეულებისამებრ იმზირება, საკუთარი სახლიდან ხალხმრავლობას ადევნებს თვალს, თითქოს ისიც ქანდაკებად ქცეულა. [...] ნეტავ რას ფიქრობს ეს ქალბატონი, ახლა როცა სამხედროების, პონტიფიკოსების ქანდაკებების, ბაზილიკის ფასადის მოზაიკაზე წმ. მარიამის გვერდით გამოყვანილი ფერმიხდილი ქალების გარდა სანახავი არაფერია, მგლის თავებზე, რომელთა ხახიდანაც წყალი აღარ იღვრება? რას ფიქრობს სარეველა ბალახზე? - ფოტოებიდან ვერ ვარჩევ ბალახია თუ რიყის ქვებს შორის ამოზრდილი ხავსი- იქნებ ამ უჩვეულო სარეველა ბალახმა ამოებაზე ჩააფიქრა?</p>
<p>Piazza Carignano, Torino Benedetta Cibrario 26 / 04 / 2020</p>	<p>„პიაცა კარინიანო“, ტურინი ბენედეტა ჩიბრარო 26/04/2020</p>
<p>Ogni volta che ci torno, mi fermo e guardo. Non è cambiata al punto da non farsi riconoscere. Oggi è più ripulita, forse più ricca, ma è sempre lei, la piazza che attraversi per forza di attrazione se devi andare da nord a sud, o da est a ovest. Non so se corrisponda al centro della città, ma non importa – finisce che ci passi lo stesso, per abitudine e anche per la bellezza. Perché diciamo subito, è bella questa smagliatura vistosa nello schema di facciate ordinate, di strade larghe e diritte, di piazze ampie, da cui vedi Guarini e Juvara, uno scorcio del Collegio dei Nobili e l'Oratorio di San Filippo Neri, l'istruzione dei ricchi accanto quella dei poveri. [...]</p>	<p>ყოველთვის, როცა აქ ვბრუნდები, ვჩერდები და ვუშვებ. ისე არ შეცვლილა, რომ ვერ იცნო. დღეს უფრო გაკრიალებულია, იქნებ უფრო მდიდარიც, მაგრამ ის ისაა, მოედანი რომელიც ძალაუვნებურად იქცევს ყურადღებას, არ აქვს მნიშვნელობა სად მიდიხარ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთით. არ იცი მიყავხარ თუ არა ქალაქის ცენტრისაკენ, მაგრამ სულ ერთია - მაინც უნდა გაიარო, გვერდს ვერ აუვლი, უფრო ჩვევის გამო და ასევე ამ მშვენიერებისათვის. იმიტომ რომ, ვთქავთ ახლავე, ლამაზია ეს თვალწარმტაცი ფასადების სქემა, სწორი და ფართო გზები, გაშლილი მოედნები, საიდანაც ხედავ გუარინისა და იუვარას, ხედავ „კოლეჯო დეი ნობილის“ და სან ფილიპო ნერის ორატორიუმს, მდიდარი ხალხის განათლების კერას, ღარიბთა გვერდით [...]</p>
<p>Piazza Baldaccio, Anghiari Margherita Loy 28 / 04 / 2020</p>	<p>„პიაცა ბალდაჩო“, ანგიარი მარგერიტა ლოი 28/04/2020</p>

<p>Piazza o terrazza? Sfiolata dalla discesa furiosa verso la piana, la piazza-terrazza di Anghiari somiglia a un trampolino e Garibaldi a un giudice pronto a dare il via. La mano del condottiero dovrebbe indicare Roma: o Roma o morte, allora morte perché la mano indica Milano. Come mai? Diverse le risposte: per equilibrio, per errore. Scherzo del destino? Un anti-garibaldino, o un guelfo post litteram, un papalino travestito da artista? Nessuno se ne accorse? Chi lo sa. [...]</p>	<p>მოედანი თუ ტერასა? მზგოთვარე დაღმართით ეშვება დაბლობისაკენ, ანგიარის მოედანი-ტერასა ტრამპლინს ჩამოჰგავს და გარიბალდი, თითქოს მსაჯია, რომელიც მზადაა გასცეს სტარტის ბრძანება. წინამძღოლის ხელი რომს უნდა მიუთითებდეს: ან რომი ან სიკვდილი, მაშ სიკვდილი, იმიტომ რომ ხელი მილანისკენ აქვს გაშვებული. ეს როგორ? პასუხი სხვადასხვაა: წონასწორობისათვის, შეცდომით. ბედის ხუმრობაა? გარიბალდის მოწინააღმდეგე ან კლერიკოსია post litteram, იქნებ პაპის მომხრეა ხელოვანად გადაცმული? ვერავინ შენიშა? ვინ იცის. [...]</p>
<p>Piazza del Duomo, Catania Salvatore Silvano Nigro 26 / 04 / 2020</p>	<p>საკათედრო ტაძრის მოედანი, კატანია სალვატორე სილვანო ნიგრო 26/04/2020</p>
<p>[...] Attira l'attenzione, al centro, la fontana dell'Elefante, berninianamente sovrastata da un obelisco. Dei puttini versano nelle conche l'acqua chiocciolante che sgorga dal sotterraneo fiume Amenano. La fontana è un carillon. E richiama, giocattolosa, l'ampia fontana dell'Amenano che, invisibile per il taglio della foto dietro l'angolo del Palazzo dei Chierici, fa cadere dalla cornucopia della statua allegorica del fiume un perenne, rapinoso, lenzuolo d'acqua. Un murmure, più intonato delle campane ricordate da John Dryden, fa da colonna sonora alla desolata solitudine della piazza. Quel murmure, di solito inascoltabile per il frastuono caotico della vita cittadina, ridà "voce" al teatro barocco della piazza. Torna a far cantare l'arte, a far cantare le pietre.</p>	<p>[...]ცენტრში ბერნინისეულად ობელისკზე ამოზრდილი „სპილოს შადრევანი“ იქცევს ყურადღებას. პუტები ასხამენ სპირალურად წყალს, რომელიც მიწისქვეშეთიდან მოედინება მდინარე ამენანოდან. შადრევანი მუსიკალური ყუთია. ამენანოს ფართო შადრევნის სახალისო გამოძახილია. ამ რაკურსით ფოტოზე არ ჩანს, ის განთავსებულია „კიერიჩის პალაცოს“ კუთხის მახლობლად. თავისი რქის ჭურჭლიდან მოედინება მრავალწლოვანი, წამლევავი წყლის ზეწარი. დრტვინვა, უფრო ჰარმონიული, ვიდრე ჯონ დრიდენის მიერ ნახსენები ზარები, მისამღერივით გასდევს მოედნის უკაცრიელ მარტოობას. ის დრტვინვა, რომელიც ჩვეულებრივ ვერ განიჩქევა ქალაქის ქაოტური ხმაურისაგან, "ხმას" უწყობს მოედნის ბაროკოს თეატრს, რაც ამღერებს ხელოვნებას, ამღერებს ქვას.</p>
<p>Piazza della Signoria, Firenze Carlo Carabba 20 / 04 / 2020</p>	<p>„პიაცა დელა სინიორია“ ფლორენცია კარლო კარაბა 20/04/2020</p>
<p>[...] E, soprattutto, Piazza della Signoria, che appariva tutt'a un tratto e mai dove la cercavo, e non era una piazza sola, ma almeno tre, e portava con sé secoli di stratificazioni [...]</p>	<p>[...] და განსაკუთრებით, „პიაცა დელა სინიორია“, რომელიც ჩნდებოდა უეცრად და არ გამოჩენილა არასოდეს იქ სადაც ვეძებდი, და ის არ იყო მხოლოდ ერთი მოედანი, არამედ სამი მაინც, საუკუნოვანი შრეების მატარებელი [...]</p>
<p>Piazza del Popolo, Todi Giovanni Grasso 14 / 04 / 2020</p>	<p>„პიაცა დელ პოპოლო“, ტოდი ჯოვანი გრასო 14/04/2020</p>

<p>Quando, agli inizi degli anni Novanta, una équipe di studiosi americani proclamò, in base a non so più quali parametri, Todi “città ideale”, a casa reagimmo con un misto di gelosia, ironia e protervia. [...] Noi, il segreto di Todi e della sua piazza, un’improvvisa esplosione di luce, bellezza e intima solennità, lo conoscevamo già. [...]</p>	<p>როდესაც, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფმა, რა პარამეტრების საფუძველზე არ ვიცი, ტოდი გამოაცხადა „იდეალურ ქალაქად“, სახლში გვექონდა ექვიანობით, სარკაზმითა და ქედმაღლობით შეზავებული რეაქცია. [...] ჩვენ, ტოდისა და მისი მოედნის საიდუმლოს, სინათლის, სილამაზისა და ინტიმური სიხალასის ამ უცაბედ აფეთქებას, უკვე ვიცნობდით. [...]</p>
<p>Piazza del Duomo, L’Aquila Caterina Serra 07 / 05 / 2020</p>	<p>საკათედრო ტაძრის მოედანი, ლ’აკვილა კატერინა სერა 07/05/2020</p>
<p>[...] Era la seconda volta che veniva a vedere quella piazza. Sembrava ferma, uno spazio assente. Con quella gru che era un totem, un monumento ai morti e un monito ai vivi, che sembrava ce l’avessero lasciata lì per dire non è finita, no, non è mai vinta la vulnerabilità di ogni costruzione umana. Come fosse una minaccia anziché la prova di ogni essere in vita. Provava lo stesso spaesamento di allora, eppure non doveva essere per lo stesso motivo, per la terra che quella volta aveva tremato. [...]</p>	<p>[...] ის მეორედ მოდიოდა იმ მოედნის სანახავად. გაშეშებულს გავდა, სივრცე რომელიც არ არის. ის ამწეკრანი, რომელიც იყო ტოტემი, გარდაცვლილთა მონუმენტი და გაფრთხილება ცოცხლებისათვის, თითქოს იმიტომ დატოვებოდა იქ, რომ ეთქვათ ჯერ არ დასრულებულა, არა, არასოდეს გაუმარჯვია ადამიანური კონსტრუქციის მოწყვლადობას. თითქოს მუქარა ყოფილიყო, ნაცვლად ყოველი ცოცხალი არსების დამადასტურებელი საბუთისა. როგორც მაშინ, ახლაც გრძნობდა დიზორიენტაციას, თუმცა არა იმავე მიზეზით, გრძნობდა მიწას რომელიც მაშინ იძრა. [...]</p>
<p>Piazza Sebastiano Satta, Nuoro Marcello Fois 26 / 04 / 2020</p>	<p>სებასტიანო სატას მოედანი, ნუორო მარჩელო ფოისი 26/04/2020</p>
<p><i>Eppure la pietra parla e racconta</i> <i>Di glorie fittili porta la storia</i> <i>E delle sconfitte supera l’onta</i></p> <p>Si disse che poteva farsi suggerire dalla pietra. Perché rispondere ai maggiori, che avevano attraversato l’oceano per riportarlo a casa, e che gli avevano chiesto il progetto di una piazza, non era cosa agevole. Lui, Costantino Nivola, oranese, aveva chiesto tempo perché la commissione non era cosa da poco: riguardava un luogo, riguardava un senso, riguardava un simbolo. Il luogo era Nuoro tremenda: il regno di sopra e di sotto, con l’acropoli di granito e, più in basso, il villaggio lastricato di pietre di fiume. [...]</p>	<p><i>და მაინც, ქვა საუბრობს და მოგივთხრობს</i> <i>მყიფე დიდებაზე ატარებს ისტორიას</i> <i>და გადალახავს დამარცხებების სირცხვილს</i></p> <p>მან თავის თავს უთხრა, რომ შეიძლებოდა ქვისაგან ყოფილიყო შთაგონებული. მოხუცების საპასუხოდ, რომელთაც გადმოლახეს ოკეანე, რათა ის სახლში დაებრუნებინათ და სთხოვეს მას მოედნის დაპროექტება, რაც არ იყო ადვილი საქმე. მან, კოსტანტინო ნივოლამ, ორანიდან, დრო ითხოვა, რადგან მისია სახუმარო საქმე არ გახლდათ: ადგილს, აზრს, სიმბოლოს ეხებოდა. ადვილი იყო შემადრწუნებელი ნუორო: ზესკნელისა და ქვესკნელის სამეფო, გრანიტის აკროპოლისით და უფრო ქვემოთ, მდინარის ქვევით მოკირწყლული სოფლით. [...]</p>

<p>Piazza Baracca, Lugo Elisabetta Rasy 11 / 04 / 2020</p>	<p>ბარაკას მოედანი, ლუგო ელიზაბეტა რასი 11/04/2020</p>
<p>[...] Questa sorta di moderno menhir, che sembra provenire da un misterioso pianeta del futuro anziché dall'era neolitica, cambia la geometria squadrata della piazza che porta il nome del pilota, trasformandola in una sorta di dechirichiano luogo metafisico ed esaltandone l'assoluta originalità estetica. [...]</p>	<p>[...] თანამედროვე მენჰირის ეს სახეობა, რომელიც უფრო მომავლის საიდუმლოებით მოცული პლანეტიდანაა, ვიდრე ნეოლითური ხანიდან, ცვლის მოედნის კვადრატულ გეომეტრიას, რომელიც მფრინავის სახელს ატარებს, გარდაისახება ერთგვარ დეკორიკოსულ მეტაფიზიკურ ადგილად, ესთეტიკის აბსოლუტური უნიკალურობის გამოვლინებით. [...]</p>
<p>Piazza dei Martiri, Carpi Liliana Cavani 23 / 04 / 2020</p>	<p>მოწამეთა მოედანი, კარპი ლილიანა კავანი 23/04/2020</p>
<p>[...] Da piccola pensavo che tutti i paesi fossero così, con spazio e architettura elegante spesso in cotto e ornata bene. D'altronde io per andare a scuola alle elementari attraversavo la piazza ed entravo nel castello attraverso il grande arco e attraversavo il bellissimo cortile quattrocentesco di grande purezza architettonica (che allora non sapevo) per arrivare a piazza Re Astolfo. [...] L'itinerario dalla piazza alla scuola elementare era ed è sempre un itinerario di vera bellezza.</p>	<p>[...] პატარაობისას მეგონა, რომ ყველა ქალაქი ასეთი იყო, სივრცით, ელევანტური არქიტექტურით, ტერაკოტითა და დეკორაციებით შემკული. მე დაწყებით სკოლაში წასასვლელად ვკვეთდი მოედანს, დიდი თაღის გავლით შევდიოდი ციხე-სიმაგრეში და გასაოცარი არქიტექტურული სიწმინდის მქონე, მეთხუთმეტე საუკუნისეული უმშვენიერესი ეზოს გავლით (რაც მაშინ არ ვიცოდი) მივდიოდი „პიაცა რე ასტოლფომდე“ [...] გზა მოედნიდან დაწყებით სკოლამდე იყო და არის ჭეშმარიტი სილამაზის გზა.</p>
<p>Piazza Sant'Antonio Nuovo, Trieste Francesco Zanot 02 / 04 / 2020</p>	<p>სან ანტონიო ნუოვოს მოედანი, ტრიესტე ფრანჩესკო ძანოტი 02/04/2020</p>
<p>[...] Progettata all'inizio dell'Ottocento da Pietro Nobile (la sua opera più nota è il Theseustempel di Vienna, sorta di riproduzione in scala del tempio di Efesto, teletrasportato da Atene al cuore dell'Impero austriaco dopo oltre due millenni), la chiesa che giace sul lato est si ispira proprio al Pantheon, cui si sovrappongono gli echi delle idee fantasiose di Étienne-Louis Boullée. Come gli utopistici progetti del collega francese, senza dubbio il più visionario tra i visionari architetti neoclassici, rompe con tutto quello che ha intorno. La sua mole lattescente s'innalza senza alcun preavviso tra il mare e la collina. È un'allucinazione, un miraggio. È questo il palcoscenico ideale per lo sbarco degli alieni.</p>	<p>[...] მოედანი დაგეგმარებულია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში პიეტრო ნობილეს მიერ (მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევარია ვენის თეზევსის ტაძარი, რომელიც გახლავთ ორ ათასწლეულზე მეტი ხნის შემდეგ, ათენიდან ავსტრიის იმპერიის შუაგულში აღმოცენებული ეფესტოს ტაძრის ერთგვარი რეპროდუქცია მასშტაბში), აღმოსავლეთით მდებარე ეკლესია, პანთეონის პირდაპირი ალევორიაა, რომელზეც ეფინება ეტიენ ლუი ბულეს წარმოსახვითი იდეების ექოები. როგორც ფრანგი კოლეგის უტოპიური პროექტები, ეჭვგარეშეა ის ნეოკლასიკ არქიტექტორებს შორის, ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელია და უსაზღვრო იდეებს ეხმიანება, არღვევს ყველაფრით, რაც მის გარშემოა. მისი რძიანი ნაყოფი წამოიზრდება წინასწარი გაფრთხილების</p>

	<p>გარეშე, ზღვასა და ბორცვს შორის. ის ჰალუცინაციაა, მირაჟი. ეს არის იდეალური პლატფორმა უცხოპლანეტელების მიწაზე დასაშვებად.</p>
<p>Piazza del Popolo, Ascoli Piceno Clio Pizzingrilli 28 / 04 / 2020</p>	<p>„პიაცა დელ პოპოლო“ ასკოლი პიჩენო კლიო პიჯინგრილი 28/04/2020</p>
<p>Dovevo avere diciassette anni, adesso sessantotto. Ero seduto sugli scalini dell’edicola del Giosafatti, addossata alla chiesa di San Francesco, lato a settentrione della piazza – quello era il posto dove avevamo preso l’abitudine di riunirci intorno a Serge, un cantore nomade in transito ad Ascoli, che conosceva tutto Pete Seger e Woody Guthrie, va da sé Bob Dylan. In città eravamo i soli, all’epoca, a frequentare quella musica, e già cantare Which side are you on ci faceva convinti che un giorno avremmo fatto grandi cose. [...]</p>	<p>მაშინ ჩვიდემტი წლის ვიქნებოდი, ახლა სამოცდარვის ვარ. „ჯოზაფატის,, ჯიხურის კიბეებზე ვიჯექი, სან ფრანჩესკოს ეკლესია წამომდგომოდა თავს, მოედნის ჩრდილოეთ ნაწილი იყო ადგილი სადაც ჩვევად გვექცა სერჯის გარშემო შეკვრებილიყავით. ის გახლდათ მომთაბარე მომღერალი, რომელიც ასკოლიში გავლით იყო, იცნობდა პიტ სიგერსა და ვუდი გათრის, და რაღა თქმა უნდა ბობ დილანს. ქალაქში მარტო ჩვენ ვიყავით, იმ დროს, ვინც იმ მუსიკას უსმენდა, და კმაროდა გვემღერა „Which side are you“, რომ გვერწმუნა, ერთ დღესაც დიდ საქმეებს შევეჭიდებოდით. [...]</p>
<p>Piazza delle Carceri, Prato Sandro Veronesi 12 / 04 / 2020</p>	<p>„პიაცა დელე კარჩერი“ პრატო სანდრო ვერონეზი 12/04/2020</p>
<p>Piazza Santa Maria delle Carceri, a Prato, custodisce un segreto. Un segreto geometrico del quale tutti godono anche se lo conoscono in pochi. È una questione di assi. [...] è stato proprio l’uso che se ne è sempre fatto, qualsiasi esso fosse, a tenere celato il segreto che rende così piacevole usarla. Ora però la piazza è vuota; e così vuota, così metafisicamente vuota come nessuno l’ha mai vista, immaginata o pensata, il suo segreto non riesce più a nascondere – anzi, lo rivela sfacciatamente, lo grida, lo sbandiera: d’un tratto la cosa più vistosa di tutte è proprio lo scappellotto con cui Giuliano da Sangallo ha ruotato gli assi del suo capolavoro rispetto a quelli del Castello che le sta a fianco. La dimostrazione che senza più l’uomo a usarlo, lo spazio viene riconquistato non solo dalla natura, ma anche dalla geometria.</p>	<p>პრატოს „სანტა მარია დელე კარჩერის“ მოედანი საიდუმლოს ატარებს. გეომეტრიული საიდუმლოება, რომელიც ყველას ატკობს, თუმცა ამის შესახებ ცოტამ თუ იცის. საქმე ღერძებშია [...] ზუსტად ისე არის გამოყენებული, რა იდეაც იდო მასში - დაემალა საიდუმლო, რაც ასე სასიამოვნოს ხდის მის არსებობას. თუმცა, ამჟამად მოედანი ცარიელია; ისე ცარიელი, ისე მეტაფიზიკურად ცარიელი რომ ასეთი არავის უნახავს, ვერც წარმოუდგენია ან უფიქრია, ის თავის საიდუმლოს ვეღარ მაღავს - მეტიც, მას ამხელს გაბედულად, ყვირის, აფიშირებს: ასე უეცრად, ყველაზე თვალისმომჭრელად, ზუსტად ისე, ალიყურივით, როგორც ჯულიანო და სანგალო ატრიალებს თავისი შედეგის ღერძს, ციხე-სიმაგრისაგან განსხვავებით, რომელიც მის</p>

	<p>გვერდით დგას. ეს დემონსტრირებაა: თუ ადამიანი სივრცეს არ გამოყენებს, ის შესაძლოა შეივსოს არა მხოლოდ ბუნებით, არამედ გეომეტრიითაც.</p>
<p>Piazza Benedetto Brin, La Spezia Maurizio Maggiani 15 / 04 / 2020</p>	<p>ბენედეტო ბრინის მოედანი, სპეცია მაურიციო მაჯიანი 15/04/2020</p>
<p>Piazza Benedetto Brin, che fu un ammiraglio costruttore, e edificò il più grande arsenale militare del regno, e intorno ci mise una città, una città come gli sembrava nella sua testa che dovesse essere, e la popolò di popoli estranei tenuti assieme dal loro lavoro, costruire le navi più potenti del mondo. Al centro della città ci mise il quartiere dei lavoratori del suo arsenale e in mezzo al quartiere una piazza con il suo nome. E la piazza divenne un teatro, una fantasmagoria, una jungla e un campo di Marte, perché era l'ombelico di tutto il quartiere e la scena di ciascuno. [...] la piazza c'è ancora; il fatto è che non c'è più il possente arsenale, non ci sono più le sue possenti navi, e i suoi operai e i suoi ingegneri, le sue intenzioni e men che meno le sue ragioni, il suo quartiere. E la piazza ora è un grande e esotico essere assopito, che sogna, e sognando parla in lingue di mistero.</p>	<p>„პიაცა ბენედეტო ბრინი“ ატარებს ადმირალისა და საზღვაო ინჟინრის სახელს, რომელმაც იტალიის სამეფოში ააშენა უდიდესი სამხედრო არსენალი და გარშემო გააშენა ქალაქი, ქალაქი, როგორც ეს მას წარმოედგინა, და დაასახლა უცხო ხალხით, რომლებიც თავიანთმა საქმემ შეჰყარა ერთად. ეს საქმე გახლდათ, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი გემების მშენებლობა. ქალაქის ცენტრში მან ააშენა უბანი, რომელშიც ცხოვრობდნენ მისი არსენალის მუშები, და ამ რაიონის ცენტრში იყო მოედანი, რომელიც მის სახელს ატარებდა. და ეს მოედანი იქცა თეატრად, ფანტასმაგორიად, ჯუნგლებად და მარსის მინდვრად, რადგან ეს იყო მთელი უბნის ცენტრი და თითოეული მკვიდრის სცენა. [...] მოედანი ისევ იქ არის; ფაქტია, რომ ძლიერი არსენალი გაქრა, თავის ძლიერ გემებთან, მუშებთან და ინჟინრებთან ერთად, მის ჩანაფიქრებთან და რომ აღარაფერი ვთქვათ მიზეზებზე, რომელიც აღარ არსებობს, გაქრა მისი უბანიც. და მოედანი ახლა ისეთი დიდი ეგზოტიკური მიძინებული არსებაა, რომელიც ოცნებობს და მის ოცნებებში იღუმალი ენებით ლაპარაკობს.</p>
<p>Piazza Vittoria, Napoli Eduardo Savarese 17 / 05 / 2020</p>	<p>„პიაცა ვიტორია“ ნეაპოლი ედუარდო სავარეზე 17/05/2020</p>

<p>Di rado, attraversando Piazza del Plebiscito per andare a Santa Lucia, verso il mare, mi lascio attrarre da chiesa, cupola e colonnato. Le circoscrizioni geometriche della forma ambiscono a regolamentare la città: se non fosse una pretesa tanto infantile, sarebbe arrogante. Ma bastano a ridimensionarla le innumerabili architetture, prospettive, vedute che si accavallano alle sue spalle: raggiungendole, si arriva al mare, prima del mare alla colonna spezzata, un ingresso per Piazza Vittoria di monumentale ironia. Ne ha molti, di accessi, questa piazza: irregolari e disordinati, a ognuno corrisponde un'anima diversa. [...]</p>	<p>იშვიათად, სანტა ლუჩიასაკენ მიმავალი, გავივლი „პიაცა დელ პლესბიტოს“, ზღვის მიმართულებით და თავს უფლებას ვაძლევ მომიცვას ეკლესიამ, თავისი გუმბათითა და კოლონადებით. მისი ფორმების გეომეტრიული საზღვრები მიისწრავის დაარეგულიროს ქალაქი: რომ არ ყოფილიყო ამგვარი ბავშვური ამბიციო, ამპარტავნული გამოვიდოდა. საკმარისია მასშტაბში დააბრუნო უამრავი არქიტექტურული სტრუქტურა, პერსპექტივა და ხედი, რომლებიც მის ზურგს უკან იშლება: გადალახავ რა, მათ ზღვაზე გაყავხარ. ზღვამდე კი გატეხილი სვეტია, რაც მონუმენტური ირონიის მქონე „პიაცა ვიტორიისაკენ“ მიგიყვანს. ამ მოედანს მრავალი შესასვლელი გააჩნია, არეული და დიზორიენტირებული და თითოეული მათგანი განსხვავებული სულისაა. [...]</p>
<p>Piazza San Nicola, Bari Nicola Lagiola 20 / 05 / 2020</p>	<p>„პიაცა სან ნიკოლა“ ბარი ნიკოლა ლაჯოია 20/05/2020</p>
<p>Con la sua ariosità e il suo biancore formicolante, piazza Mercantile riassume lo spirito di Bari. Città in apparenza più materiale che metafisica, attiva più che lirica, il capoluogo pugliese trova nel commercio la propria ragion pratica. Questo spazio era devoto a traffici e trattative sin dal Medioevo, con tanto di colonna infame da cui esporre gli insolventi. [...] Poco distante si erge la Basilica, nella cui cripta sono custodite le ossa di San Nicola, riferimento per due chiese (cattolica e ortodossa) e due civiltà. Il profano si trasfigura nel sacro, e questo irroro di nuova vita i vicoli e le strade. [...]</p>	<p>თავისი ჰაეროვნებითა და მჩხვლეტავი სითეთრით „პიაცა მერკანტილე“ აჯამებს ბარის სულს. ქალაქი, რომელიც თითქოსდა უფრო მატერიალურია ვიდრე მეტაფიზიკური, უფრო აქტიურია ვიდრე ლირიული, პულიის დედაქალაქი, თავის პრაქტიკულ დანიშნულებას ვაჭრობაში ჰპოვებს. ეს სივრცე შუასაუკუნეებიდან მოყოლებული დაეთმო ვაჭრობას და გარიგებას, და კიდევ სირცხვილის სვეტიც ჰქონია, მევალების საჩვენებლად. [...] იქვე ახლოს დგას ბაზილიკა, რომლის კრიპტაც წმინდა ნიკოლოზის ძვლების მცველია, ორი ეკლესიის (კათოლიკური და მართლმადიდებლური) საკვანძო მინიშნება და ორი ცივილიზაცია. ცრურწმენა გარდაისახება საკრალურ წყაროდ, რაც არწყულებს ახალ ცხოვრებას, ხეივნებსა და ქუჩებს. [...]</p>
<p>Piazza Duomo, Milano Helena Janeczek 30 / 04 / 2020</p>	<p>საკათედრო ტაძრის მოედანი, მილანი ჰელენა იანეჩეკი 30/04/2020</p>
<p>[...] Ora che non serve come sfondo di un selfie, come punto di partenza per lo shopping o come luogo d'appuntamento, ora che Milano è ferma, il Duomo di Milano rivela il senso di un disegno che noi passanti o visitatori, forestieri o milanesi, non abbiamo mai potuto cogliere nella nostra indaffarata piccolezza. È il centro maestoso di un'armonia di marmi e graniti, un'armonia chiaroscura che evocherebbe scomparse giornate di nebbia o vecchie cartoline in bianco e nero, se non la sovrastasse il cielo straordinariamente limpido. [...]</p>	<p>[...] ახლა, როდესაც ის აღარ არის სელფის ფონი, ან „შოპინგის“ დაწყების პუნქტი, ან სულაც შეხვედრის ადგილი, ახლა, როდესაც მილანი გაჩერდა, მილანის საკათედრო ტაძარი ამხელს თავის ნამდვილ ჩანაფიქრს, რაც ჩვენ გამვლელებს თუ მნახველებს, გადამთიელებს თუ მილანელებს, თურმე აქამდე ვერ აღგვი, ჩვენივე გადატვირთული სამყაროს სიმცირეში. ეს არის მარმარილოსა და გრანიტის ჰარმონიის დიდებული ცენტრი, ნათელისა და ბნელის ჰარმონია, რომელიც გამოიხმობდა გამქრალ ნისლიან დღეებს ან ძველ</p>

შავ-თეთრ ღია ბარათებს, რომ არა მის თავზე წამომდგარი არაჩვეულებრივად
ნათელი ცა. [...]